სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ აკეთებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (საშემოდგომო და საგაზაფხული სემესტრებში) მონიტორინგს და მიღებული შედეგების ანალიზს. შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და ეს ინფორმაცია მიეწოდება ფაკულტეტების დეპარტამენტებში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს პროგრამის განვითარებისთვის მონიტორინგისა და ანალიზის შედეგების გათვალისწინების მიზნით. მონიტორინგის შედეგები ჯამდება როგორც სემესტრების ასევე წლების მაჩვენებლების მიხედვით. ქვემოთ დიაგრამაზე მაგალითის სახით ნაჩვენებია ერთი ფაკულტეტის (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის) წლიური მაჩვენებლები:



ფაკულტეტებზე შესწავლილი იქნა აკადემიური მოსწრების მდგომარეობა სწავლების წლების, სემესტრების და სასწავლო კურსების მიხედვით. ზოგადი ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად აკადემიური პროგრამების და სემესტრების მიხედვით მაჩვენებლების განსხვავებისა, შეიმჩნევა გაკვეული საერთო ტენდენციები:

- ზოგადი საუნივერსიტეტო კურსების შემთხვევაში ძირითად პრობლემას წარმოადგენს საბაზისო განათლების დაბალი დონე.
- შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს მეცადინეობებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი, ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროცესში, ინფორმირებულობის და მოტივაციის დაბალი დონე.
- საგამოცდო მასალები რიგ შემთხვევაში არ ასახავს აკადემიური ჯგუფის მომზადების საშუალო დონეს. არის შემთვევები, როცა სილაბუსში მოცემული შეფასების სისტემა არ პასუხობს საგნის სპეციფიკას.

შესაბამისად შემუშავებული იქნა რეკომენდაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად

- სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით დეპარტამენტებს და პროგრამის ხელმძღვანელებს რეკომენდაცია მიეცათ გააძლიერონ საინფორმაციო მუშაობა ჯგუფებთან პროფესიული ორიენტაციის, სწავლების მეთოდების, შრომითი ბაზრის მოთხოვნების გაცნობის მიზნით.

აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩაერთოს ჯგუფების კურატორები, პედაგოგები და აქტიური სტუდენტები.

- პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია მეტი ყურადღება დაუთმონ აქტივობის კომპონენტის შესრულების აუცილებლობას მეცადინეობებზე დასწრების და ჩართულობის დონის ასამაღლებლად.
- გამოვლენილ კურსებში სილაბუსების ავტორებს რეკომენდაცია მიეცათ დაიხვეწოს შეფასების სისტემა კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ანალიზის შედეგები განხილული იქნა ფაკულტეტის დეპარტამენტებთან და ფაკულტეტის ჯგუფებთან, სასწავლო კურსების წამყვან სხვა დეპარტამენტების პედაგოგებთან ერთად. ანალიზის შედეგები განხილული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე.